

2025 წლის გაზაფხულის სეზონის მათემატიკის ოლიმპიადის I ტურის ტესტების მიმოხილვა

მე-3 კლასი


ტესტი შედგება 10 ძირითადი დავალებისგან და მისი ჯამური ქულაა 50. თითოეული სავარჯიშო 5-ქულიანია, ის მოიცავს პირობას და სამ სავარაუდო პასუხს, რომელთაგანაც მოსწავლემ მხოლოდ ერთი - სწორი პასუხი უნდა შეარჩიოს. I-დან II ტურში გადასასვლელად, მოსწავლემ უნდა დააგროვოს სულ მცირე 21 ქულა.

სავარჯიშოები შედგენილია რიცხვთა დათვლის, სურათის აღქმის, რიცხვების შედარების, მარტივი არითმეტიკისა და რიცხვთა მიმდევრობის თემატიკებზე.

- რიცხვთა ჯგუფები

მოსწავლემ უნდა შეძლოს სურათზე მოცემული საგნების ჯგუფების დათვლა.

მაგალითი: ბანანების რამდენი ოთხეულია სურათზე?



A) 16

B) 6

C) 4

• რიცხვების შეკრება, გამოკლება ან/და შედარება

- მოსწავლემ უნდა შეძლოს 100-ზე ნაკლებ ნატურალურ რიცხვებზე მარტივი მოქმედებების ჩატარება და რიგ შემთხვევაში შემდეგ მათი შედარება. მან უნდა ამოიცნოს ნაკლებობის, მეტობისა და ტოლობის სიმბოლოები ($>$, $<$, $=$), იმისთვის რომ შეარჩიოს სწორი პასუხი.

მაგალითი: მაქსიმუმ რა შეიძლება დავუმატოთ 10-ს, რომ მიღებული შედეგი 25-ზე ნაკლები იყოს?

A) 15

B) 25

C) 5

• რიცხვთა მიმდევრობა

- მოსწავლემ უნდა შეძლოს რიცხვების მარტივ მიმდევრობებში რიცხვების ცვლილების ამოცნობა და ამაზე დაყრდნობით, ამ მიმდევრობის რომელიმე წევრის პოვნა:

მაგალითი: დააკვირდი მიმდევრობას და გამოიცანი მიმდევრობის მერვე წევრი:
28; 25; 22; 19; ...

A) 7

B) 10

C) 4